საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თავმრგვალა

თავმრგვალა, ნასოფლარი ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მდ. ქციის მარცხენა სანაპიროზე, არახლოს (ახლანდ. ნახიდურის) დასავლეთით. სახელწოდება მიღებული უნდა იყოს ნასოფლარის სიახლოვეს მდებარე კლდის მომრგვალებული თავებისაგან. ეკლესია ან სასაფლაო ნასოფლარს აღარ შემორჩენია, მაგრამ მდინარის მარცხ. ნაპირზე ხიდის ბურჯის ნაშთია, ეს კი აქ გამავალ გზაზე მეტყველებს, რ-იც მდინარის მარჯვ. ნაპირზე გადადიოდა. თ-დან ჩამომავალ ამ ნაგზაურს, მდინარის ორივე ნაპირიდან გამოქვაბულები დაჰყურებს. ვარაუდობენ, რომ ისინი ყველაზე ინტენსიურად XIII–XIV სს-ში გამოიყენებოდა.

1392 თ. სხვა სოფლებთან ერთად დასახელებულია საკათოლიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში; 1654 როსტომ მეფის ბრძანებით გაარიგეს სადავო მიწები ნახიდურელებსა და სვეტიცხოვლის კუთვნილ, თავმრგვალელ ყმებს შორის; ეს დავა გაგრძელებულა მეფე ვახტანგ V-ის დროსაც. ამდროინდელ განჩინებაში სადავო მიწების საზღვრად დასახელებულია ჩაღათაშვილის საორაგულე (სავარაუდოდ, ქციაზე). აქ იხსენიება გამოქვაბულებიც: „ქვაბები როგორც ჩაღათაშვილსა ჰქონია, ისრევე იმას ჰქონდეს და როდესაც ხიზნობა შეიქნას, არც ნახიდურელთ დაეჭიროსთ სახიზრათ". 1665 კათოლიკოსმა დომენტი III-მ მღვდელი გიორგი რამაზაშვილი და მისი ვაჟი თათრისაგან გამოისყიდა და თ-ში დაასახლა; 1722 კათოლიკოს-პატრიარქმა დომენტი IV-მ ზაალ გედევანიშვილს უბოძა თ-ს ნაცვლობა; 1772 ერთი საბუთიდან ჩანს, რომ მცირე ხნის წინ თ. ლეკებს აუოხრებიათ.

ლიტ.: ბ ა ხ ტ ა ძ ე ნ., ქვემო ქართლის კლდის ძეგლები, თბ., 1991; ქართული სამართლის ძეგლები, დოლიძის *გამოც.*, ტ. 3–4, თბ., 1970–72; К а к а б а д з е С., Грузинские документы Института народов Азии, М., 1967.